ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N 19/63

2019 წლის 4 სექტემბერი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისათვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის“ რეორგანიზაციაზე (დაყოფაზე) და რეორგანიზაციის (დაყოფის) საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი (გ. კურდღელია) თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სახელოვნებო სამხატვრო განათლების ხელშეწყობის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების, ხალხური რეწვის დარგების (კერამიკა, ხის მხატვრული დამუშავება, მხატვრული ქსოვა, (ხალიჩა, ფარდაგი, გობელინი)) აღდგენა - შენარჩუნების, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოპოვების მიზნით, ასევე, საგამოფენო დარბაზის საქმიანობის განვითარების მაღალი ხარისხის მისაღებად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ფოლკლორისა და მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის რეორგანიზაციაზე (დაყოფაზე) და რეორგანიზაციის (დაყოფის) საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის“ დაფუძნებაზე თანხმობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (გ. კურდღელია) განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის" (ს/კ 415098316) რეორგანიზაცია (დაყოფა) და რეორგანიზაციის (დაყოფის) საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის" დაფუძნება.

მუხლი2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გ. კურდღელია), საკრებულოს განკარგულების პირველი მუხლის შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

მუხლი 3.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის 1[1] პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14[4] მუხლის მე-6 პუნქტის, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გ. კურდღელია) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის" რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაცია დაარეგისტრიროს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

მუხლი 4.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გ. კურდღელია) განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის" დირექტორი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 5.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის" დირექტორმა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" 38-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული პირები მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 6.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გ. კურდღელია) გაანთავისუფლოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრის" დირექტორი და დანიშნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის" დირექტორები.

მუხლი 7.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გ. კურდღელია) დაამტკიცოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო

სასწავლებლის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის“ წესდებები.

მუხლი 8.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 9.

განკარგულება ძალაშია 2019 წლის 4 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კაკულია**